საქართველოს სოც.-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტია — დრ. მთავარ კომიტეტის ორგანო

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოციალისტ-ფედერალისტი

№ 17 1921 წ. კვირა მარტის 20 № 17

ფასი 50 მანეთი

რედაქციის მისამართი:
დამფუძნებელი კრების ქ. № 6
ტელეფონი 12—29

11

ნინო ივანეს ასული ბერუკაშვილისა, ვასილი, გიორგი და ილია ივანეს ძენი პაატაშვილები, ოლღა სპირიდონის ასული და ნატალია ისააკის ასული პაატაშვილები და ელისაბედა იმედაშვილისა გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ რომ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათის ძვირფასი და დაუვიწყარი დედა, დედამთილი და უკანასკნელის და

მარიამ ანდრიას ასული პაატაშვილისა

ცხედრის გამოსვენება მოხდა კვირას 20 მარტს, დილის 10 საათზე საკუთარი ბინიდან (ავლაბარი, ეჩმიაძინის ქ. № 20) ავლაბრის წმ. მარინის ეკლესიაში, დაკრძალვა პეტრიპავლის სასაფლაოზე. 667.

ომში დაჭრილ და დასახიჩრებულთა კავშირის გამგეობა ღრმა მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას, რომ კვირას, მარტის 20-ს სამხედრო ტაძრის გალავანში ძმათა სასაფლაოზე გადახდილ იქნება პანაშვიდი ამავე კავშირის თანამშრომლის

ივანე (ვანიჩკა) ლავრენტის ძე იოსავას

სულის მოსახსენებლად, რომელიც კოჯორთან ბრძოლის დროს დაიღუპა.

ღრმად დამწუხრებულები: მეუღლე ილიკო გოცირიძე, შვილები: კოლა, ვასო, ვახტანგი, მარუსა და მაზლი გრიგოლი, რძლები მარიამი, კიდევ მარიამი და შვილი ნატალია გოცირიძეები და მისი შვილები თამარი და ნინა აუწყებენ და აცნობებენ ყველა ნაცნობთ და ნათესავთ უდროოდ და ხან-მოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაცვალებას

ანარი (ანიჩკასი) გოცირიძისა,

რომლის დაკრძალვა მოხდება ოთხშაბათს, მარტის 23-ს 10 საათზედ დიდუბის სასაფლაოზედ. გამოსვენება მოხდება გრიგოლ გოცირიძის სახლიდან მაზლის უდროოდ დაკარგულისა, გორის შესახვევი № 12. 670

ღრმად დამწუხრებულნი: მარიამ მოსეს ასული, მარიამ და ქსენია ლავრენტის ასულნი აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ პირველი საყვარელი მეუღლის, ხოლო დანარჩენნი ძვირფასი ძმის

ვანიჩკა (ივანე) ლავრენტის ძე იოსავას

კოჯორთან ბრძოლის ველზე დაღუპვას, რომლის სულის მოსახსენებლად გადახდილ იქნება პანაშვიდი კვირას, მარტის 20 შუადღის 12 საათზე სამხედრო ტაძრის გალავანში ძმათა სასაფლაოზე.

თავზარდაცემულნი გიორგი, ვასილი, ნიკოლოზ ვლადიმერის ძენი და ნინო ვლადიმერის ასული აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მათი საყვარელი დედის

აღათი (ანჯელიკა) იოზის ასული წითლანაძის

უდროოდ დაკარგვას. გამოსვენება ბინიდან სუნქენის ქ. № 5. კვირას 12 საათზე, დაკრძალვა მოხდება წმიდა ნინოს სასაფლაოზე. 668

გაუმარჯოს ზავს!

გუშინ გამოქვეყნებულ ცნობის მიხედვით ომი გათავებულა და საზავო შეთანხმებაც მომხდარა. ჩვენ ჯერ-ჯერობით არ ვიცით ზავის საფუძვლები და პირობები და მის არსებითი გარჩევას ვერ შევუდგებით. შექმნილ მდგომარეობის მიხედვით ადვილი გასაგებია, თუ როგორი იქნება ზავის პირობები, მაგრამ დღეს დღეობით ჩვენთვის მნიშვნელობა აქვს ომის გათავების ფაქტს.

ზავის იდეა ეს ჩვენი იდეაა. რა დღესაც შემოვიდა ტფილისში წითელი ჯარი და მთავრობა აქედან აიბარგა, ჩვენ მაშინვე გამოვსთქვით მტკიცე რწმენა, რომ ომს ყოველივე აზრი დაკარგული აქვს და ის სრულიად გაუმართლებელი, სისხლის ღვრათ იქცა ვისაც ქართველი ერის ფიზიკური არსებობა აინტერესებდა, ვინც პარტიულ ანგარიშით არ იქნებოდა გატაცებული, ის უეჭველად უნდა მოქცეულიყო ისე როგორც მოვიქეცით ჩვენ ე. ი. ზავის ჩამოგდებას შეუწყობდა ხელს.

მკითხველმა საზოგადოებამ კარგად იცის რა ნაბიჯები ჩვენს მიერ სამისოდ გადადგმული, მაგრამ შეიძლება ბევრმა არ იცის ინსინუაცია რა ათასგვარი საძაგელი ჭორები რომელსაც აქ უხვად სთხზავდნენ და ავრცელებდნენ აქ დარჩენილი მენშევიკების აგენტები ჩვენს შესახებ.

პოლიტიკა მაშინ კი არაა სიბრძნე, როდესაც ცხვირში მოხვედრილს გაიგებ, არამედ მაშინ, როდესაც ცხვირს იქით ცოტას მაინც იყურები და უსიამოვნო შედეგს აცდენ.

როდესაც გამოირკვა მენშევიკურ მთავრობის ინფორმაციის და დიპლომატიის უსუსურობა, ცხადი იყო, რომ სწორეთ ომის განგრძობა იყო ღალატი ერთის წინაშე. დღეს ვისთვის არაა ცხადი, რომ მენშევიკებმა არ იცოდნენ ვისთან ჰქონდათ საქმე და საქართველოს შვილები ისე გამოჰყავდათ ბრძოლის ველზე, რომ არავინ იცოდა რა დღე მოელოდათ მათ გაივლის ცოტაოდენი დრო და პირუთვნელი ისტორია ყველაფერს იტყვის სათანადო საბუთებზე დამყარებით.

ზავი უნდა მომხდარიყო თუ ფოილოს ხიდთან არა, ყოველ შემთხვევაში ტფილისში მაინც და რამდენი რამ გადარჩებოდა: ერის საუკეთესო შვილების სიცოცხლეს დოვლათი, ორგანიზაციები და სხვა და ზავზე მოლაპარაკე ორივე მხარე საკუთარ ფეხზე იდგომებოდა და არც ერთი მათგანი დაჩაგრული რა იქნებოდა.

საერთაშორისო ურთიერთობას არკვევს ან დიპლომატია ან სამხედრო ძალა. მენშევიკებს ჰყავდათ სანტიმენტალისტი დიპლომატები, რომლებიც ქვეყანას არწმუნებდნენ, რომ ევროპა მათი მშვენიერი თვალებისათვის სისხლის ღვარს დაადენს; მენშევიკებმა ვერ შექმნეს ვერც სამხედრო ძალა მიუხედავად აუარებელ ხარჯების.

ვიმეორებთ, ზავის პირობები არ ვიცით და მის არსებით შეფასებას ვერ შევუდგებით. ჩვენ კიდევ იმ აზრისა ვართ, რომ გაცილებით უკეთესი იყო, რომ ამა თუ იმ კონსტიტუციის საკითხი სრულიად არ გამხდარიყო ომის საბაბად. მაგრამ, რაც მოხდა მოხდა—დღეს ომი გათავებულია—გაუმარჯოს ზავს!

ოპერატიული ცნობა

მარტის 17-ს.

ფრონტზე წარსულ დღის სამხედრო მოქმედება არა ყოფილა.

ომი გათავდა

მარტის 17-ს 23 საათზე სადგურ საჯავახოდან ვაგონებით, რომლებიც მოგვაწოდეს მენშევიკებმა ჩვენი ჯარი გაიგზავნა ბათომისაკენ.

ოსმალეთის თანხმობა ბათომის შესახებ.

ტრაპეზონი. მარტის 12. (როსტა) ანგორიდან მარტის 12-ს ოფიციალურად იუწყებიან: გარეშე საქმეთა მინისტრის მოადგილემ (ცნობის დროს განაცხადა) შემდეგი: 1) ნამეტანი დიდი იმედი არ უნდა ვიქონიოთ ლონდონის კონფერენციისა, 2) მოსკოვის კონფერენცია კარგად მიმდინარეობს.

საუბარი პირდაპირი მავთულით ლორთქიფანიძესა და ორახელაშვილის შორის

16 მარტს. ღამის 12 საათიდგან დილის 8 საათის განმავლობაში პირდაპირი მავთულით სწარმოებდა შემდეგი საუბარი ლორთქიფანიძესა და ორახელაშვილის შორის:

ლორთქიფანიძე. მე გახლავართ.—მატარებელი ლორთქიფანიძესის,—არის ვინმე თუ არა აპარატთან რევკომის წევრთაგან.

ორახელაშვილი. ვინ არის აპარატთან.

ლ. მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე ლორთქიფანიძე.

ო. აპარატთან მთავრობის წევრი ორახელაშვილია მოსალაპარაკებლათ გვაქვს თქვენთან საკითხი. მართალია თუ არა ყარაბექირის ცნობა, რომ თქვენმა მთავრობამ გადასცა მას ჯარებს ბათომი, და ვითომ ბათომი დაიკავეს ოსმალეთის ჯარებმა 11 მარტს.

ლ. არ არის მართალი. ბათომში მართალი არის ანგორის ჯარის პატარა ჯგუფი. რომელიც შემოვიდა ჩვენის თანხმობით. ხოლო თვით ქალაქში, ციხეში და აგრეთვე ოლქში ჩვენი სრული დომინაციაა. როგორც სამხედრო, ისე სამოქალაქო მხრივ. ანგორის ჯარის ნაწილები დარჩებიან იქ იმ დრომდე, ვიდრე ამაზე ჩვენი თანხმობა იქნება.

ო. მაშასადამე, რაღა მიზანი აქვს ჩვენს შეხვედრას და რაზე უნდა ვითათბიროთ ჩვენ. თუ ბათომის ოკუპაცია. თუ გინდ თქვენი თანხმობით. უკვე ფაქტია.

ლ. კიდევ ერთხელ გიცხადებთ, რომ არავითარი ოკუპაციაზე ლაპარაკიც არ შეიძლება: ერთი საქმეა შესაძლებელი სურვილი ყარაბექირისა. მეორე საქმეა ფაქტი, რომ ეს ჯგუფი სრულებით არ წარმოადგენს საოკუპაციო ძალას. აქამდე ჯერ არ არის ოკუპაცია არც როგორც ფაქტი და არც როგორც უფლება. და ჩვენ ნებაა დაურთველად არავის შეუძლიან ბათომის და ოლქის ოკუპაცია. თუ არა იარაღით დაპყრობითა.

ჩვენ ვერ წარმოგვიდგენია შესაძლებლობა. როგორც თქვენც თქვენ რადიოში. იმისა, რომ საქართველოს ტერიტორიის მთლიანობას კიდევ სხვა საფრთხე მოელოდეს. ამას ნათლად ამტკიცებს ყარაბექირის ცნობა.

რაც შეეხება იმას თუ ჩვენ რაზე უნდა ვისაუბროთ. მგონია, რომ საჭიროა საუბარი ბევრ რამეზე; ეხლა თქვენ ალძარით საკითხი და გარდა ამისა თქვენვე ინებეთ მოგეცათ წინადადება იმის ლიკვიდაციის და მასთან დაკავშირებულ საკითხების შესახებ მოლაპარაკების აუცილებელ საჭიროებაზე.

ო. რამდენათაც თქვენ თქვენი [illegible] მთავრობათ მიგაჩნიათ, იმდენათ ანგორის შეიარაღებულ ორი ასკერის ყოფნაც იმას ნიშნავს, რომ—ეს ან ოკუპანტები არიან, ან თქვენი მოკავშირენი საკითხი ტერიტორიის მთლიანობისა უდიდესი საკითხია, ხოლო თქვენ უკვე უკუ აგდეთ სასურველი გადაწყვეტა ამ საკითხისა უცხოელ შეიარაღებულ ძალის შემოშვებით ბათომში, მაშინ, როდესაც რუსეთ-ოსმალეთის კონფერენციაზე მოსკოვში სრულიად გადაწყვეტილია საკითხი, რომ ბათომი, ახალციხე და ახალქალაქი რჩება საქართველოს საზღვრებში: შეთანხმებაზე ხელი უწერია საბჭოთა საქართველოს წარმომადგენელს მიხა ცხაკაიას (საუბარი დროებით შეწყდა)..

ო. აპარატთან მთავრობის მოადგილე ლორთქიფანიძეა.

ო. აპარატთან რევოლიუციონურ კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ორახელაშვილია. ინებეთ შემატყობინოთ, მიიღეთ თუ არა ჩემი პასუხი და საკითხი თქვენი ცნობის შესახებ ბათომში ოსმალთა ჯარის შემოსვლაზე თქვენი თანხმობით.

ლ. არ მესმის თქვენი ფრაზა: ჩვენი საუბარი შესწყდა იმ დროს, როდესაც თქვენ შეგვატყობინეთ გადაწყვეტილება მოსკოვის კონფერენციისა; შემდეგ: საუბარი შესწყდა. ჩვენ გვინდოდა გვეპასუხნა. ინებეთ განაგრძოთ, თუ ჩვენ გიპასუხოთ.

ო. გთხოვთ პასუხს.

ლ. ინფორმაციისთვის გმადლობთ. მოსკოვის კონფერენციას ჩვენ მხოლოდ მივესალმებით. იურიდიულად და ფაქტიურად ბათომი ჩვენ ხელშია და თუ იგი არავინ დაიპყრო, მისი ბედის გადაწყვეტა შეიძლება მხოლოდ ჩვენთან მოლაპარაკების შემდეგ. ბათომში შემოსული ანგორის ჯარი არც ოკუპანტია, არც ჩვენი მოკავშირე, მაგრამ ჩვენ იმ აზრისანი ვართ, რომ ამ საკითხისა და სხვების შესახებაც მოლაპარაკებას ყოველ მხრივი განხილვა მავთულით კი არ უნდა მოხდეს, არამედ უნდა გამოირკვეს შეხვედრის დროს.

ო. ნება მომეცით. დავათავო ჩემი ცნობები. ყარაბექირმა ოფიციალური მე-11 არმიის უფროსის სახელობაზე გამოგზავნილი დეპეშით, შეგვატყობინა, რომ დიდის ეროვნულის კრების დადგენილებით, ბათომი, მისი ოლქი, ახალქალაქი უნდა შეერთებულ იქმნან ოსმალეთთან, როგორც მისი კანონიერი ნაწილები და რომ მან ამის თანახმად გასცა ბრძანება ხსენებულ რაიონების დაჭერის შესახებ მის ოფიციალური ცნობის თანახმად ბათომი დაკავებულია 11 მარტს. როგორც ხედავთ, ყარაბექირის ცნობით ბათომი დაჭერილია ოსმალეთის ჯარის მიერ, ხოლო ახალციხე და ახალქალაქი გვიჭირავს ჩვენ. ჩვენის ღრმა რწმენით ბათომს ემუქრის აუცილებელი საფრთხე, ერთად ერთი ხსნა არის ჩვენი ჯარი დაუყონებლივ შეყვანილ იქნას ბათომში და მთელი თქვენი ჯარი დამორჩილდეს ჩვენს სარდლობას ბათომის დასაცავად და მის შესანარჩუნებლათ საქართველოსთვის. თუ დასთანხმდებით და ცალიერ ვაგონებს გამოგვიგზავნით, ჩვენი ჯარი დღესვე შევა ბათომში; ამასთან თავის თავად ცხადია, ჩვენი მოლაპარაკების საფუძველი ისევ ძველი უნდა დარჩეს. თუ ამის თანახმა იქნებით, ჩვენ დაუყონებლივ წამოვალთ თქვენთან რუსეთის ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს რწმუნებულებთან ამხ. ენუქიძესთან და სვანიძესთან ერთად.

ლ. დიახ. ბათომს ნამდვილად შეიძლება უმუქრებოდეს და ეტყობა ემუქრება კიდეც საფრთხე ორის მხრივ, ეს საფრთხე მარტო სამხრეთიდან რომ იყოს, მაშინ, ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, მოვიგერიებთ მას, ამიტომ ჩვენ ენერგიულ წინადადებას ვაძლევთ მკვიდრი დროებით ზავის ჩამოგდებით ხელფეხი გაგვეხსნით და შეგვაძლებინოთ სამხრეთისაკენ ვიბრუნოთ პირი, დავიცვათ ქალაქი და ოლქი, დროით დავიწყოთ მოლაპარაკება მტკიცე იმედით, რომ ამ საკითხში ჩვენ ვიპოვით არა მარტო საერთო ენას, არამედ საერთო გადაწყვეტილებას და საერთო საქმეს.

ო. ჩვენ ჩვენის მხრივ გიცხადებთ—თქვენ ჩვენი ქვეყნის წინაშე საბჭოთა რუსეთის წარმომადგენელთა თანადასწრებით, რომ ჩვენი ჯარის შეყვანით ბათომში სრულიადაც არ გვინდა დაუკარგოთ მნიშვნელობა ჩვენს მოლაპარაკებას და გადავაყენოთ თქვენ უკვე მომხდარ ფაქტის წინაშე. რაც შეეხება ჩვენსა და თქვენს შორის სისხლის ღვრის შეწყვეტას და ბათომის უშიშროებას—რაც სრულიად უზრუნველყოფილ იქნება, თუ თქვენ დასთანხმდებით ამას.

ო. -რაც სრულიად უზრუნველყოფილ იქნება, თუ თქვენ დასთანხმდებით ამას —ჩვენ დაუყოვნებლივ წამოვალთ, წინააღმდეგ შემთხვევაში რესპუბლიკის ტერიტორიის მთელის და კერძოდ ბათუმის დასაცავად, ჩვენ ვსთვლით ბათუმისკენ ვალაშქრების დაგვიანება-მის დაკარგვის თანასწორად, რაც გვაიძულებს დაუყოვნებლივ დავიწყოთ შეტევა ბათუმისკენ. ვაცხადებთ კიდევ ერთხელ ჩვენი ქვეყნისა და მთელი მსოფლიოს წინაშე, რომ ჩვენ მივდევთ ერთად ერთ მიზანს-ბათუმი შეუნარჩუნოს საქართველოს. უკანასკნელ შემთხვევაშიაც ჩვენ მაინც მოვდივართ ქუთაისში თქვენთან მოსალაპარაკებლათ და თქვენც გიწვევთ ქალაქ ქუთაისში.

ლ. ვიმეორებ კიდევ ერთხელ, რომ თქვენ მიერ ნაჩვენები საშუალება საკითხის გადასაწყვეტად წარმოუდგენს იმავე ხელშეკრულობას დროებით ზავის შესახებ, რის შემდეგ მთელი ჩვენი ჯარები უნდა ემსახურონ იმ მიზანს, რომელზედაც თქვენ ლაპარაკობთ. ჩვენი ძალა-უფლება სრულიად საკმაოა და ჩვენ ვუზრუნველვყოფთ, რომ ჩვენ დავიცვავთ ბათომს და ოლქს ფორმალური ლიკვიდაციის წამამდე, ამიტომ თქვენ დაუყოვნებლივ უნდა წამოხვიდეთ, როგორც იყო დაპირებული. მე გზაში ვარ სამტრედიასთან. ეს არის ეხლა მოვიდა დელეგაცია ტფილისიდან: წერეთელი, ღლონტი.

ო. ჩვენი გადაწყვეტილება საბოლოოა. ამასთან ერთად მოვდივართ ქუთაისში, წამოდით თქვენც.

ლ. როგორ უნდა გავიგოთ ეს: მაშასადამე დროებითი ზავი გრძელდება ყოველს შემთხვევაში ერთმანეთთან შეხვედრამდე.

ო. თქვენ აღარ გეომებით, გათენებისას მოძრაობა ბათომისკენ განახლდება.

ლ. პირდაპირ სთქვით, თუ აქ ფრონტია, ჩვენ შორის არ არის ზავი და შეთანხმება და თქვენ წინ წაიწევთ, ეს სწორედ სამხედრო მოქმედების განახლებაა, მაშინ რა აზრი აქვს იმას, რომ წამოვიდე გამოლაშქრებულ თქვენ ჯართან შესახვედრად ან საზოგადოდ რა აზრი ექნება ჩვენ შეხვედრას. გადაწყვეტილება, რომლითაც მე მოგმართავთ იმავე ძირითად მიზანს ემსახურება, რომელიც ამ გზით თქვენ დაგისახავთ, მაგრამ უფრო მიზანშეწონილად სწყვეტს.

ო. ჩვენ სხვა გამოსავალ გზას არ ვხედავთ, თქვენთან ომი არ გვსურს, მაგრამ მოძრაობა ბათუმისკენ მის დასახსნელად განახლდება, ყოველ პირობებში მზად ვართ თქვენთან მოსალაპარაკებლად, მზად ვართ შეთანხმების უმთავრესი მუხლები გადავსწყვიტოთ პირდაპირ მავთულით.

ლ. აუცილებლივ საჭიროა, რომ ხვალ თქვენმა ჯარებმა წინ არ წაიწიონ, რათა ობიექტიურად მოკავშირეთა შორის ხვალინდელ დღიდან, რაც შესაძლებელია, არ მოხდეს მეტად მიუტევებელი და უმსგავსი სისხლის ღვრა. ეს მოუთმენლობა თქვენის მხრით არამც თუ ხელს არ შეუწყობს ბათუმის საკითხის გადაწყვეტას, როგორც ეს სასურველია ორივე მხრისთვის, არამედ უფრო გაართულებს და ვიღაც მესამეს გაახა-

რებს და მე მოვითხოვ საქართველოს წინაშე, საბჭოთა თუ არა საბჭოთა, რომ მივიღოთ პასუხის საგნები გადაწყვეტილება, შევთანხმდეთ ძირითად კითხვებში, რათა შესაძლებელ იქნეს ფრონტის შეცვლა. მითხარით, თუ შეიძლება, აბელი ხომ არ არის აპარატთან.

ო. აბელი ეხლა აქ არ არის, მაგრამ შეიძლება დაუძახოთ. ჩვენ ერთხელ კიდევ ვიმეორებთ, რომ მარტო ბათომის შიში გვხდის ჩვენ მოუთმენლად ამ საკითხში.—ყოველი წუთი დაგვიანებისა უფრო და უფრო ართულებს საქმეს. ნებაყოფლობით შეშვება ჩვენი ჯარისა ბათომში არა თუ ხელს არ უშლის ფრონტის გადაკეთებას, არამედ ამაგრებს ამ ფრონტს სამხედრო და პოლიტიკურ მხრივ და ხდის მას სრულიად მიუწდომელად მტრისათვის. გარდა ისა ჩვენ არ შეგვიძლიან არ გამოვსთქვათ ჩვენი გაკვირვება იმის გამო, რომ თუ მართლა თქვენ ბათომში ოსმალეთის ჯარი შეუშვით. იმავე დროს ასე ენერგიულად ეწინააღმდეგებით ჩვენი ჯარის შეშვებას ბათომში და მასთან ხვალინდელი დღე მიგაჩნიათ ჩვენ შორის ზავის დღეთ.

ლ. ნუ თუ არ გესმით, რომ ერთი დღე დასჭირდება ამ საქმის არა მარტო გადაწყვეტას და ორგანიზაციას. არამედ მარტო ჩვენის ფრონტისთვის უბრალო შეტყობინებას და განმარტებას ყველა ამისა ჩვენი ფრონტისთვის უბრალო შეტყობინებას და გამარტებას ყველა იმისა ჩვენი ჯარისთვის და სარდლობისთვის. ნუ თუ ეს გასაგები არ არის, რომ თუ ასე თუ ისე ჩვენ ერთის დღით შემდეგ ერთად ვიქნებით. ერთი ასათ უფრო ადვილი იქნება საქართველოს ტერიტორიის მთლიანობის გადარჩენის საკითხი, ვიდრე მაშინ, თუ თქვენ ეხლავე უშვებთ და ჩვენი სურვილის წინააღმდეგ გამოილაშქრეთ ჩვენზე. გთხოვთ ეხლავე დაუძახოთ აბელს.

ო. აბელი აპარატთან არის.

ლ. მე გადაჭრით მოვითხოვ, რომ აბელმა მიიღოს მონაწილეობა ამ საკითხის გადაწყვეტაში. აბელმა გამოსთქვას თავისი აზრი.

აბ. ლაპარაკობს აბელი. ვაძლევ რა დიდ მნიშვნელობას ჩვენს მოლაპარაკებას, მე ვცდილობ წინსვლაზე ბრძანების გაუქმებას. მე, სვანიძე და ორახელაშვილი ვართ წამოსასვლელად და გთხოვთ თქვენც წამოხვიდეთ.

ლ. მე კვლავ დაბეჯითებით მოვითხოვ, რომ ის ბრძანება გაუქმდეს. ეს დანაშაული იქნება, რადგანაც დარწმუნებული ვარ და თქვენც უნდა დარწმუნდეთ, რომ ამ შეთანხმებით მივაღწევთ სწორეთ ამ მიზანს ტერიტორიის მთლიანობას ან უმსხვერპლოთ ან სულ მცირე მსხვერპლით: ხოლო ის, რასაც თქვენ ხვალ აპირებთ, მაპატიეთ, და რასაც უგნურობაა. რაც შეეხება ჩემ წამოსვლას, მე უკვე წამოვედი და ამ ჟამად ვარ სამტრედიის ხიდთან. თუ თქვენ გულწრფელათ გსურთ ამ საქმის კეთილად დაბოლოვება, თქვენ უნდა განაგრძოთ ბრძოლის შეჩერება. მე, რა თქმა უნდა, შემიძლიან ეხლავე ხიდს გადმოვედი და წამოვედი თქვენთან შესახვედრათ.

ენუქიძე. ჩემის ძალდატანებით ბრძანება ბათომისაკენ მომავალ ჯარის ჯგუფისათვის გაუქმებულია. ხოლო სამხრეთის ჯგუფისათვის, სარდლობის აზრით, ტეხნიკურის პირობით ბრძანების გაუქმება სრულიად შეუძლებელია და ამ გვარათ დღეს საღამოთი შეიძლება ჯარის ნაწილები ბათომს მოუახლოვდნენ. სარდლობის სიტყვით, ამ ნაწილებს მიეცა ბრძანება წარმოგზავნონ პარლამენტიორები და შეატყობინონ თქვენს სარდლობას, რომ მათ დავალებული აქვთ მტერი არ შემოუშვან ბათომში გარედან.

ო. ეხლა ხან გადმოცემულისაგან შეგვიძლიანთ დარწმუნდეთ ჩვენს გულწრფელ სურვილში მოვსპოთ ომი და გადავარჩინოთ რესპუბლიკის ტერიტორიის მთლიანობა. რომ არავითარი გაუგებრობა არ მოხდეს სამხრეთ ჯგუფისთვის, თქვენ დაუყოვნებლივ უნდა დაადგეთ შემდეგ გარდაწყვეტილებას, სამხრეთის ჯგუფი უნდა შემოშვებულ იქმნას ბათომში უბრძოლველათ: თუ ამაზე თანახმა ხართ ჩვენ თქვენის შეწყობით გადავცემთ ჯგუფის სარდალს შიფრიან დეპეშას შესაფერი შინაარსით.

ლ. რომელი მიმართულებით მიდის ეს ჯგუფი.

ო. ახალციხის ბათომის გზა-ტკეცილით.

ლ. სრული შესაძლებლობაა შეაჩეროთ ეს ჯგუფი, გარდა თვითონ უღელტეხილისა, სადაც შეიძლება უხერხული მდგომარეობა შეიქმნეს, ვფიქრობ, რომ სასწრაფოთ მოეწყოს ჩვენი აუცილებელი შეთანხმება, საჭიროა ჯარის ეს ჯგუფიც შეაჩეროთ უფრო შესაფერ და დასახლებულ ადგილებში. რაც შეეხება კავშირს, იგი უზრუნველყოფილია როგორც ბათუმ ხულოთი, აგრეთვე ხულო ახალციხით და ხაშურ ბორჯომ ახალციხით.

ო. ჯგუფი უღელტეხილს უკვე გადავიდა, მისი შეჩერება უკვე შეუძლებელია და არც კავშირი გვაქვს ამ ჟამად ამ ჯგუფთან. განა შეგვიძლია მოხსენებულ შინაარსის შესაფერი ბრძანება.

ლ. მე არ მესმის, რატომ არ შეუძლია შეჩერება რომელიმე მოსახერხებელ ადგილს და, რასაკვირველია, არა უღელტეხილზე. რაც შეეხება შიშს, მესამე ძალის მხრივ გართულების შესახებ, იგი უზრუნველყოფილია ჩვენ ჯარის საფარით და რაც შეეხება თქვენ ბრძანებას ჯარის შეჩერების თაობაზე, ჩვენ გადავცემთ თავის დროზე, უკე თუ თქვენ არა გაქვთ კავშირი, თუმცა გუშინ ხულო-ახალციხეს ესაუბრა. მე ერთხელ კიდევ მოვითხოვ არა ერთხელ გამოთქმულ მოტივებით, ნუ ართულებს ამ ნათელ და სუფთა საქმეს სამხრეთის ჯგუფზე მითითებით, რომელიც უბრძოლველათაც რომ წავიდეს, ეგრე ადრეც ვერ იქნება ბათომთან, როგორც ეს თქვენ გგონიათ. რომ საფიქრებელია ამ ჯგუფის მიზანია ბათუმის დაცვა, რასაც ჩვენი ჯარი სავსებით კარგათ ასრულებს.

ო. ვიმეორებთ, ჯარის ჯგუფი არ შეიძლება შეჩერებულ იქმნეს მრავალ მიზეზებით, რომელთა შესახებ ლაპარაკი მავთულით შეუძლებლათ მიგვაჩნია. თუ ეს ჯგუფი საღამოსთვის არ მივა ბათომთან. საკითხი თავის თავად გადაწყდება, თუ იგი არ მივა, ჩვენ წინაშე დგება საკითხი ნებით გაატარებთ ჯარს, თუ მას ძალით უნდა გაიაროს. პირველ შემთხვევაში ჩვენ ვაძლევთ შესაფერ დირექტივებს, მეორე შემთხვევაში ჩვენ თავიდან ვიცილებთ ყოველივე პასუხისგებას შესაძლებელ შედეგებისათვის.

ლ. წინადადებას გაძლევთ ბრძანება სამხედრო მოქმედების შეჩერების შესახებ გააფართოვოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში ყველა ამას ეკარგება ყოველივე აზრი. რა განსხვავება აქვს არსებით შეთანხმებისათვის ერთი თუ ორი მიმართულებით იქნება შემოტევა. ჩვენ მაინც ჩვენს აზრს ვიცავთ, რადგან იძულებულნი ვიქნებით სამწუხაროთ ავიცილოთ თავიდან ყოველივე პასუხისგება შესაძლებელ შავ მეტით გაუსწორებელ შედეგებისა.

ო. ჩვენი გადაწყვეტილება მტკიცეა და გამოწვეულია სამხრეთ ჯარის მდგომარეობით, თუ ჩვენი წინადადება შეუწყნარებლათ მიგაჩნიათ, ნება მოგვეცით მოლაპარაკება გათავებულათ ჩავთვალოთ.

ლ. ვიმეორებ არა ერთხელ ჩვენ პრინციპიალურად თითქო ვიპოვეთ საერთო საფუძველი ომის ლიკვიდაციისათვის და ჩვენი კონკრეტიული წინადადება სამხრეთის ჯგუფის შესახებ გადაწყვეტილი იქმნება ნახვისა და შეთანხმების სასარგებლოთ. თქვენ გვაყენებთ ისეთ პირობებში, ძლიერაც რომ გვსურდეს თქვენი წინადადების მიღება თქვენ არ გვაძლევთ არც დროსა და არც ადგილს, რომ შევძლოთ პრაქტიკულათ განვახორციელოთ ეს წინადადება თავის დროზე და უმტკივნეულად.

ო. ვიმეორებ, რომ ჩვენთვის სხვაგვარი გადაწყვეტილება სამხრეთის ჯგუფის შესახებ არ არსებობს. თქვენ განკარგულებაში არის მთელი დღე, რომელიც სრულიად თავისუფლათ შეგიძლიანთ გამოიყენოთ შესაფერ განკარგულებისა და თქვენის სარდლობის მოქმედების ჩვენთან შეთანხმებისათვის ბათომის ტფილისთან დაკავშირებით.

ლ. ჩვენ ვცდილობთ ყველა ზომებით ავაცილოთ შეტაკება ქართველთა და რუსის ჯარების, ხოლო ამ ჟამად მე საკმაოთ არ ვიცი, როგორია საქმის ვითარება აჭარის წყალის ხეობაში შესაძლებელია, რომ ქართველთა და რუსის ჯარი უკვე ერთმანეთს ებრძვიან. და არ ვიცი, მოვასწრებთ თუ არა შესაფერ განკარგულების მიცემას. მე მაინც ვეცდები ამას ეხლა, როგორ მოვიქცეთ შემდეგში დელეგაციების შეხვედრის საქმეში თქვენი ამხანაგების წამოყვანაში, რომლებიც დაპატიმრებულნი არიან ბათუმში და რომელთა წამოყვანა საჭიროა ზოგიერთ მიზეზთა გამო რომელზედაც მავთულით ლაპარაკი არ არის მოსახერხებელი და რის შესახებაც სწერს თავის წერილში სერგო ქავთარაძე. ეს წერილი მე თან მომაქვს.

ო. თქვენს განკარგულებაშია თქვენივე განცხადებით მავთული ხულოში და თქვენ შეგიძლიათ აცნობოთ, რაც გნებავთ თქვენი ჯარის ნაწილებს. ჩვენ დაუყოვნებლივ ვსხდებით უკვე დამზადებულ მატარებელში და მივდივართ საჩქაროდ ქუთაისში, სადაც მოგიწვევთ თქვენც დაპატიმრებული ამხანაგები გთხოვთ გამოგზავნოთ ქუთაისში. ყველა დანარჩენის შესახებ შეხვედრის დროს. აბელი გთხოვთ შეატყობინოთ შეიმანის ბედი.

ლ. შეიმანი ცოცხალია და კარგად არის. თუ იცით როგორ არის მახარაძე.

ო. როგორც შეინმანი, აბელი გთხოვთ დაუყოვნებლივ განთავისუფლოთ შეინმანი და მისცეთ შეძლება წამოვიდეს ტფილისში ასევე მოვექცევით მახარაძეს.

ლ. შაინმანი არ არის დაპატიმრებული,—მას ეკრძალება რესპუბლიკას საზღვრებიდან გასვლა, სანამ სამაგიეროთ არ იქნება განთავისუფლებული გერასიმე მახარაძე, სამშობლოში დაბრუნების აზრით. თქვენი წინადადება ყოველ ელჩების ერთ-ერთ გაცვლის შესახებ სრულიად მისაღები და სწორია. გვიპასუხეთ, როდის იქნებით ქუთაისში, რომ შევუთანხმოთ ჩვენი ჩამოსვლა. გაცნობებთ, რომ ჩვენი პარლამენტიორები სამტრედიაში მაიორ გუგენიძე და მესაყვირე ჯარისკაცი ორი დღეა დაკავებულია სამტრედიის ჯგუფის სარდლობის მიერ. გაეცით სათანადო განკარგულება.

ო. მაშასადამე, შეიძლება ჩავთვალოთ, რომ მახარაძეს და შეინმანს დღეიდან ახსნილი აქვთ დაკავება, დაბრუნების უფლების მინიჭებით და იგინი სრულიად თავისუფალი არიან. თქვენ მიერ ამაზე თანხმობის განცხადებისათანავე ეცნობა მოსკოვს. პარლამენტიორების დაკავება ჩასთვალეთ გაუგებრობათ და სათანადო განკარგულება გაიცემა. ამ საათში სკარმი გვატყობინებს, რომ თქვენთან კავშირის აღდგენის დროს ხიდიდან თქვენ მიერ წაყვანილია მშვიდობის სახით: ინსტრუქტორი ბელინსკი, ერთი მეთვალყურე და ორი მუშა. ჩვენ ვფიქრობთ ქუთაისში ვიქნებით არა უგვიანეს დღის 3 საათისა.

ლ. რომელ რიცხვში შეგიძლიათ იყვეთ თქვენ ქუთაისში.

ო. მოვდივართ საგანგებო მატარებლით და ყოველ შემთხვევაში საღამოთი ვიქნებით.

ლ. კარგი. მაგ დროსთვის ჩვენც ვიქნებით. თქვენი ხალხი მართალია დაჭერილია, მაგრამ მხოლოდ თქვენ მიერ ჩვენი პარლამენტიორების დაკავების ერთი დღე და ღამის შემდეგ. ამიტომ განთავისუფლების სიტყვა ჯერ თქვენ გეკუთვნით, დაუყოვნებლივ ამის შემდეგ თქვენები იქნებიან განთავისუფლებული. მაშ კარგი, ნახვამდის.

ო. ნახვამდის.

ბრძანება

№ 18

საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტისა

წესი. რომელიც შესრულებულ უნდა იქმნეს რესპუბლიკის ღერბის დამზადების დროს.

1. ხსენებული ბეჭდის შეკვეთა შეუძლიან იმ პირს და დაწესებულებას, რომელიც დამამზადებელს წარუდგენს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისაგან სათანადო ნებართვას, ნებადაურთველად კი ხსენებული ბეჭდის დამზადება სასტიკად აკრძალულია.

2. საბჭოთა დაწესებულება და სათანამდებო პირნი ვალდებულნი არიან აღნიშნულ მოწმობის მისაღებათ წერილობითი განცხადებით მიმართონ შინაგან-საქმეთა სახალხო კომისარიატს. განცხადებაში უნდა იქმნეს აღნიშნული რა დაწესებულებისათვის არის საჭირო ხსენებული ბეჭედი.

შენიშვნა. დაწესებულებები და ორგანიზაციები, რომლებიც იმყოფება ტფილისის გარეშე, ვალდებულნი არიან ხსენებულ ნებართვისათვის მიმართონ შესაფერ რევკომებს.

3. ქ. ტფილისის ყველა დაწესებულებები, ორგანიზაციები და სათანამდებო პირნი. რომელთაც უკვე აქვთ ხსენებული ბეჭედი, ვალდებულნი არიან შინაგან-საქმეთა სახალხო კომისარიატში დაუყოვნებლივ წარადგინონ ნამდვილი მის ანაბეჭდი და აცნობოს, სად, როდის და ვისთან იყო შეკვეთილი გასაკეთებლათ.

4. ყველა გრავიორები და მწარმოებლები, რომლებიც უკვე დაუმზადებიათ ხსენებული ბეჭედი, დღიდან ამ ბრძანების გამოქვეყნებისა, ერთის კვირის განმავლობაში ვალდებულნი არიან შინაგან-საქმეთა სახალხო კომისარიატს წარმოადგინონ შემდეგი ცნობები: ა) რომელ დაწესებულებათა, ან პირთათვის იქმნა დამზადებული ბეჭედი 26 თებერვლის შემდეგ და ბ) როდის. რა №-ით, ვის მიერ იქმნა მიცემული მოწმობა ბეჭდის დასამზადებლათ.

5. აღნიშნული გრავიორები და მწარმოებლები ვალდებულნი არიან დღეის შემდეგ ყველა ნებართვანი, რომელიც წარმოდგენილი იქნება ბეჭდის დასამზადებლათ, შეინახონ სიფრთხილით და წესიერათ და წარუდგინონ კონტროლს, რომლის მოვალეობა დაკისრებული აქვს ტფილისის ქალაქის მილიციას.

6. ყველა ის პირნი და დაწესებულებანი, რომლებიც დღევანდელ ბრძანებას დაარღვევენ, სასტიკად იქნებიან დასჯილნი რევოლიუციონურ დროის კანონის ძალით.

საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის რევოლიუციონურ კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქ. სოც. საბ. რესპ. შინ. საქ. სახალხო კომისარი ბ. კვირკველია.

რევკომის მდივანი შ. გაბრიჩიძე.

ვანიჩკა იოსავას ხსოვნას

[illegible] ამხანაგები და მეგობრები ვიგონებთ ძვირფას ამხანაგის ვანიჩკა (ლოლი) იოსავას ხსოვნას და მივდივართ მის საფლავზე ცხარე ცრემლების დასაფრქვევად.

განსვენებული ვანიჩკა ადრე ჩაება საზოგადოებრივ მუშაობაში და თავისი დიდი ნიჭის წყალობით თავის კვალიც დაამჩნია. ყველგან ენერგიულად და დაუღალავათ მუშაობდა იმ მიზნით, რომ სამსახური გაეწია თავის სამშობლოს ქვეყნისათვის, უკანასკნელ ექვსი თვის განმავლობაში განსვენებული მუშაობდა ომში დაჭრილ-დასახიჩრებულთა კავშირში. აქ მისმა ენერგიულმა და დაუზარელმა მუშაობამ კავშირს და მის წევრებს ბევრი სარგებლობა მოუტანა, კავშირში მან თავისი დაუღალავი მუშაობით დამსახურებული ჰქონდა საერთო პატივისცემა და სიყვარული.

მისი დაკარგვა დიდი დანაკლისია ჩვენთვის, მისი სახით დავკარგეთ ერთი ახალგაზრდა ენერგიით სავსე და დიდი ძლიერი ნების მქონე მუშაკი.

მშვიდობით, ძვირფასო ვანიჩკა, შენი ბრწყინვალე ხსოვნა უკვდავი იქნება ჩვენთვის.

ყველთვის პატივისცემით და მოწიწებით მოვიგონებთ და შენს წარსულის მოღვაწეობას საზოგადოებრივ ასპარეზზე მუშაობაში მაგალითად გავიხდით.

მალაქია ანთელავა.

ახალი ამბები

— **საბეჭდავი მანქანის გატანა სომხეთში.** საქართველოს რევკომის ნებართვით სომხეთის რევკომის საჭიროებისათვის უნდა გაეტანათ საბეჭდავი მანქანა სტამბისა, ქაღალდი და შრიფტი. ვინაიდან ნებართვის ქაღალდში არ იყო აღნიშნული თუ რომელი სტამბიდან წაეღოთ მანქანა, გრუზავროსტას მეთაურის ბოგდაიტევის განკარგულებით გაიტანეს სახელმწიფო სტამბის საუკეთესო მანქანა.

— **მასწავლებელთა კრება.** ორშაბათს, მარტის 21-ს საღამოს 6 საათზედ დანიშნულია თბილისის ყველა მასწავლებელთა კრება მასწავლებელთა სახლში (ყოფილი 1 ქართული კლუბი).

— **ქართველ ოფიცერთა ბედი** ჩვენს რედაქციას ჰქონდა საშუალება გამოერკვია ქართველ ოფიცერთა ბედი, რომლებიც ამ დღეებში იქნენ დატუსაღებულნი. როგორც ჩვენს წარმომადგენელს განუცხადეს. რევკომში, ოფიცერთა დატუსაღება მოხდა გაუგებრობით. ქართველი ოფიცრები გამოცხადებულან დაგვიანების გამო სწორედ იმ დღეს, როდესაც ხდებოდა თეთრ-არმიელ ოფიცრობის რეგისტრაცია და უკანასკნელებთან ერთად შეცდომით დატუსაღებულ იქმნენ ქართველებიც.

რევკომის განკარგულებით ქართველი ოფიცრები იქნებიან განთავისუფლებულნი.

— **ჩვენ რედაქციაში შემოვიდნენ ქუთაისიდან და ჭიათურიდან ახლად ჩამოსული რამდენიმე ჩვენი ამხანაგი** რომელნიც ქუთაისის და ჭიათურის შესახებ გადმოგვცემენ შემდეგს: წითელი არმია ქუთაისში შემოსულია 11 მარტს რაჭის გზით, ხოლო 12 ტფილისის გზით რომელთა შემოსვლას არავითარი არეულობა არ მოჰყოლია იქ თუმცა. მწვანე მაზრის ახლო მახლო რამდენიმე სამხედრო დარბევით, მაგრამ ამ დარბევის მონაწილენი თვით ადგილობრივი ბინადრალნი აღმოჩენილან, რომლებიც წინააღმდეგ სასტიკი ზომები უკვე მიუღიათ და თითქმის ყველა დაუპატიმრებიათ. ასე იგი ცნობ[illegible] ამხანაგებიც, სოფლიდან წითელი ჯარი უკვე 5 დღეა რაც [illegible] წასულა, [illegible] არ ჰქონია.

ქუთაისს განაპირა ადგილობრივი რევკომი, რომელშიც შედიან გ. ლორთქიფანიძე, შ. ლეჟავა პაპავა და სხ.

რევკომი შემდგარა აგრეთვე ჭიათურაშიაც ალექსანდრე ვაშაძის მეთაურობით საერთოთ იმერეთში მყუდროებაა, საჭიროა მხოლოდ აღმაშენებლობით მუშაობის დაუყოვნებლივ დაწყება და მყუდროების დაცვა.

სამხედრო რევოლიუციონურ ტრიბუნალში

სასამართლო დაწესებულებათა დიდ სასამართლო დარბაზში, მარტის 15 მოხდა სხდომა ღია კარებში № ლაშქრის სამხედრო რევოლიუციონურ ტრიბუნალის სესიისა. გარჩეულ იქმნა საქმე ბრალდებულის მოქალაქე ალბერტ სოხასი, რომელსაც ბრალად ედება შეიარაღებული ძარცვა და აგრეთვე საქმე ვასილ პეტროვისა და ნიკოლოზ ნეძვილსკისა ამ ბოროტმოქმედებაში მონაწილეთა. საჯარო ბრალდების წარმომადგენლად იყვნენ ამხ. პოლუმორდვინოვი და მელიავსკი. იცავდნენ სოხას ამხ. ტურკევიჩი პეტროვს და ნეძვილსკის ამხ. სარქისოვი. პირველ დღეს, სხდომა მოუნდა მოწმეების დაკითხვას, მეორე დღეს (მარტის 15) მხარეებმა ილაპარაკეს. ხანგრძლივი თათბირის შემდეგ სამხედრო რევოლიუციონურმა ტრიბუნალმა გამოიტანა შემდეგი გადაწყვეტილება: რუსეთის სოციალისტურ ფედერატიულ საბჭოთა რესპუბლიკის სახელით მე-11 არმიის რევოლიუციონური ტრიბუნალის სესია არსებული მე-11 არმიის საველე შტაბთან შემდეგ პირთა შემადგენლობით: თავმჯდომარე ამხ. სმოლენსკი. წევრები ამხ. როდატკინი და სკლიარევსკი 1921 წლის მარტის 15—16 დღეს მოისმინა და განიხილა სასამართლოს ღია სხდომაზე საქმე ალბერტ ტომასის ძე სოხასი, ვასილი ივანეს ძე პეტროვისა და ნიკოლოზ ფილიპეს ძე ნეძვილსკისა, რომელთაც ბრალად ედებათ შეიარაღებული ძარცვა და სცნო, რომ სასამართლოს გამოძიებით, დანაშაულობა დამტკიცებულია იმაში რომ თებერვლის 25 ამა წლის პეტროვის ბინაზე ბრალდებულნი შეიკრიბნენ აღნიშნულ საქმეზე გამართეს ქეიფი და მეორე დღეს ე. ი. 26 თებერვალს საღამოს 5 საათზე წავიდნენ შეიარაღებულნი გასაცარცვავად ელისაბედის ქუჩაზე სახლი № 74. მოქალაქე აზატ სოკოლინცის დუქანში, ამასთან სოხა, რომელიც ცნობილია ბოროტმოქმედთა შორის ჟორჟიკა ფრანცუზის სახელით შეიარაღებული ბრაუნინკით და ბოროტმომქმედ პიმონოვთან ერთად, საქმე კმაყოფილ იქმნა, შევიდნენ დუქანში, პეტროვი და ნეძვილსკი დარჩნენ ქუჩაში და უდარაჯებდნენ დუქანში შესულ ამხანაგებს. სოხა დაემუქრა სიკვდილით აზატ სოკოლინცს, გამარცვა კასა და ფულები იქვე გადასცა ამხ. პიმენოვს. დაზარალებულის ყვირილზე მოგროვდა ხალხი, რომელიც დაედევნა მძარცველებს პეტროვი, ნეძვილსკი და პიმენოვი მიიმალნენ, მხოლოდ სოხა წინააღმდეგობის გაწევის შემდეგ შეპრობილ იქმნა. მივიღეთ მხედველობაში ის, რომ სოხა, პეტროვი და ნეძვილსკი ძველი რეციდივისტები და დაჩვეული ბოროტმოქმედნი არიან, არა ერთხელ მოუხდიათ სასჯელი და საქართველოში საბჭოთა ძალაუფლების გამტკიცებისას აშკარად საზიფათონი არიან ახალი აღმაშენებლობისა და რომ მათი იზოლაცია მათ ვერ გაასწორებს და ხელმძღვანელობით რა კომუნისტურ უფლებრივ შემეცნებით და პროლეტარულ რევოლიუციის ინტერესებით ადგენს: ქალაქ რადომის მოქალაქე რადომსკის გუბერნიისა, ალბერტი სოხა 30 წლისა, დაბა ხონის მოქალაქე ვ. ი. პეტროვი 25 წლ. და ქალაქ ვილნოს მოქალაქე ნეძვილსკი ნ. ფ. 26 წ სამივენი დასჯილ იქმნენ უმაღლესი სასჯელით—დახვრეტით. გადაწყვეტილება სისრულეში უნდა იქმნას მოყვანილი დაწესებულ 48 საათში".

დაიკარგა

მოწმობა კამერული თეატრისა, წიგნაკი მოსკოვის მსახიობთა პროფესიონალურ კავშირისა, ტფ. კომენდატისაგან მიცემული მოწმობა ბინისა და ბარგის ხელშეუხებლობის შესახებ და მოწმობა ბარგის გადატანის შესახებ ოლღა მიხეილის ასულ ოლიკო სახელზე მიღებული, რაც უნდა ჩაითვალოს გაუქმებულად. 669

რედაქტორი თედო ღლონტი.
გამომცემი დრ. მთავარი კომიტეტისა.

სტამბა „სახალხო საქმე" კალოუბნის ქუჩა № 14. ს. ფ. ს. მ.